თამუნა ჩალაძე

(14.05.1993-13.09.2023)

თამუნა ჩალაძე

(14.05.1993-13.09.2023)

პირადი ცხოვრება

თამუნა მერაბის ასული ჩალაძე დაიბადა 1993 წლის 14 მაისს ქ.თილისში, მერაბი და ლალი ჩალაძეების ოჯახში. მან თავისი ხანმოკლე ცხოვრებით მოახერხა, რომ საამაყო და ნათელი კვალი დაეტოვებინა.

თამუნა ჩალაძეს ჰქონდა ლაღი ბავშვობა, ის ბედნიერად იზრდებოდა და-ძმის ნინოსა და გიორგისთან ერთად. გამოირჩეოდა სათნო, მომთმენი და მოსიყვარულე ხასიათით. ყოველთვის გააჩნდა გამჭრიახობა, იყო სწორი ღირებულებების მატარებელი და საკუთარი პრინციპების ერთგული. გატაცებული იყო კულინარიით, ეზოთერიკით, იოგით და ა.შ.

დაოჯახდა 2014 წელს, ხოლო 2015, 2020 და 2023 წლებში მეუღლე-იმედა კალატოზიშვილთან ერთად შეეძინათ სამი შვილი-ნია, ეკატერინე და ლუკა. მას არ დასცალდა შეესრულებინა ყველაზე დიდი ნატვრა - თავად გაეზარდა საკუთარი შვილები. სამწუხაროდ, ყველასთვის საყვარელმა გოგონამ 30 წლის ასაკში დაგვტოვა, რითაც ყველა ახლობელს დაუმძიმა გული.

გვჯერა, რომ ის როგორც ყველასგან გამორჩეული ადამიანი, ამჟამად ანგელოზად და ორსულთა მფარველად გვევლინება.

განათლება და პროფესია

2011 წელს თამუნა ჩალაძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის 145-ე საჯარო სკოლა, რისთვისაც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან გადაეცა ოქროს მედალი.

2011-2015 წლებში მოიპოვა დაფინანსება და სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობით - გამოყენებითი ბიომეცნიერება და ბიოტექნოლოგია. ხოლო

2016-2018 წლებში მან სრული დაფინანსება მოიპოვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე და სწავლა გააგრძელა საბუნებისეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე, სპეციალობით - საკვები პროდუქტების მეცნიერება.

2016-2017 წლებში მუშაობდა გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში-ქიმიკოსის პოზიციაზე.

2017 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ს/ს სარაჯიშვილში - ქიმიკოსად.

2022 წელს გამოიგონა და შექმნა უნიკალური რეცეპტის ხელნაკეთი საპონი, რის საფუძველზეც დააფუძნა საკუთარი ხელნაკეთი საპნის წარმოება „საპონია“

2022-2023 წლებში ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიებში“ .. გამოაქვეყნა სამი სამეცნიერო ნაშრომი თემებზე:

“კლიმატის ცვლილება არ არის მითი-ეს რეალობაა !!” ;

“გარემოს დაცვის და გენდერული თანასწორობის ურთიერთკავშირი”;

“ცოტა რამ ეკოლოგიასა და ეკოლოგიის სწავლების შესახებ”.

და ეს ჟურნალები ინახება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

💔💔💔

სიცოცხლისთვის იშენებდი ბუდეს,
სიცოცხლისთვის ყველაფერი გქონდა...
იმიერის გზას, რომ მიაშურე,
ნაზი მხრებით ცრემლის ზღვა მიგქონდა...

არ იდარდო, უფლის რჩეული ხარ,
შვილებისთვის მფარველობას შეძლებ,
შენი სითბო, სიკეთე და სიტყვა
გაუძღვება მათ, ცხოვრების გზებზე...

,,რატომ ღმერთო?!"... - ამ სიტყვებით ვცოდავთ,
მეტს ვერაფერს ვამბობთ დანანებით...
ნუგეშად კი დაგვრჩა მხოლოდ ლოცვა,
ანგელოზებს დაუმძიმდათ ფრთები ...

/ირინოლა ფერაძე/

.... მარადისობა.....
.... მარადისობა.....

დამწუხრებულა ეს საქართველო,
საყვარელ შვილებს ეკატერინეს, ნიაკოს, ლუკას,
უთქმელი სიტყვა დღეს გავუმხილეთ,
რომ შენ წახვედი...

დასრულდა...გაქრა, ეს უთვალავი მზიანი დილა...
შენი გმირობის ამბებს მოვყვებით,
წლები ვერ წაგშლის ჩვენს გულებიდან
ძვირფასო თაკო...
დღეს შენ ჩააცვი დედას შავები, მამას, და-ძმას
შორეთიდან დაემშვიდობე,.

ნუთუ ცხადია, თუ სიზმარი, დღე განთიადის,
და ვერასოდეს ვეღარ გვეტყვით სიტყვას ჯერ უთქმელს.
...
წახვედი მარტომ, შეკაზმულა შენი სასახლე,
უთვალავ ვარდებს ჩაუცმიათ შალახოს ფარჩა,
და მოლოდინით ველოდებით დღეს დაღამებას...

დასრულდა... გაქრა, უთვალავი მზიანი დილა...
ძალიან გვინდა სიზმრად გიხილოთ, და მოგეფეროთ,
როგორც არასდროს, თან პატიების დიდ მორევში
გადავუშვათ ნათელი ფარდა...

დასრულდა, გაქრა უთვალავი მზიანი დილა,
და, ღიმილიანი თაკოს ალერსი...

თუმცა ვერ წაგშლის ეს საუკუნე,
ამ გულებიდან ვერცერთი ფარდა...

მოგვენატრები, უსასრულოდ მოგვენატრები,
და მომავალის საიმედოდ დაგვიტოვე....
პატარა ლუკა....
მოვალთ საფლავთან, მუხლდაცემული და დაგიტირებთ,
როგორც არასდროს, არ გვიტირია...,
.....
თუმც კვლავ თენდება,
უსასრულოდ მზიანი დილა....
მშვიდობით თაკო (თამარი)...

/ გიორგი -ჯემალ მაკარაძე /

💔💔💔

ტკივილი მოიქარიშხლებს,
სხეულს, წაიღებს შორს,
ამოიოხრებს ბალახზე
ცრემლად დაფენილ თქორს,

მყინვარს შესძრავდა მუდარა,
ძალუმი ლოცვა დედის,
შვილებს წარსტაცა მშობელი,
წუთისოფელმა ბედის,

მიწას აღმოხდა ძახილი:
_ რატომ ან რისთვის ღმერთო!
თაკოს ლამაზი სიცოცხლე
ცის კაბადონზე ენთო,

სევდანარევი ღიმილი,
თვალთა ვედრება მწველი,
როგორღა დათმე უფალო,
როგორ გაუშვი ხელი,

აშრიალდება ნანატრი,
სურნელი შორით ცისა,
ქარებს მოჰყვება ზღაპარში,
ნანინა დედის ხმისა!
პატივისცემით

/მაყვალა ჩირგაძე/.

💔💔💔

ვერ დაგაფასე, ვერ გიერთგულე,
რადგან შენ გერქვა დღეს ჩემი მული,
და გაგიმეტეს გაგჩერებოდა
სიცოცხლით სავსე პატარა გული….

შენს თეთრ სხეულზე, მზის ანარეკლი
თვალის მომჭრელად გადგას ტიალი,
ალბათ გინდა რომ გაგითბოს მაინც
ეხ, შენი გული ოხერ-ტიალი….

შემოგეფეთე, შავი, გოდებით
ჩვენი ხმა ცაში იჭრება, ღმერთთან,
სამრეკლოს კართან ზარებს რეკავენ
გევედრებიან..! რომ დარჩე ჩვენთან.

როგორი მწარე ყოფილხარ თურმე
ვერ შეგიგრძენი, გული გატკინე,
გაფერადებულ ამ ჩვენს ლალიკოს
სიმწრის ცრემლები ღვარად ადინე…

ჩვენი დედიკო, შავ სასთუმალთან
მდუმარედ ზის და უკვდება გული,
ცდილობს გიშველოს ისევ თავიდან
მოგავლინოს და შთაგბეროს სული…

დანარჩენებზე ვერაფერს დავწერ
გაქვავებულა ოჯახი შენი,
ძალა მილეულს, სევდა მორეულს,

დაუჯერებლად ვსხედვართ და გელით…

გაგიჩენ ძმისშვილს, დავარქმევ თამარს
გვარად იქნება ჩალაძის ქალი,
გპირდები!! ისე გავზრდი გოგოს რომ
ექნება ქვეყნად მას ერთი ვალი:
დააბიჯებდეს და არ შებღალოს
დატოვებული მან შენი კვალი…..

ვიცი, ციდან დაგვიფარავ,
და არასდროს განმიკითხავ,

მაქედან ხომ დამინახავ?!
ამ ჩემს დარდებს წაიკითხავ…

დაინახავ ჩემს სიმწარეს
როგორ ძლიერ დამაღონე,
შენმა წასვლამ დამანგრია
სიზმრად კიდევ გამაგონე….

ბევრჯელ მნახე, უნახავმა,
სულ წასვლა არ გამოვიდეს,
შენი მადლი, შენი სითბო
ჩვენს ოჯახზე გადმოვიდეს…

ჩემო თბილო და ჩემო ლამაზო
ჩემო ღიმილა, ყველაფრის მცოდნე,
ეგარეგოდე ამ შავ მიწას და
ანგელოზებთან მარადჟამს ცხონდე….

/ლელა მაკარაძე - ჩალაძე/


LONG
LONG
BRAVE!

💔💔💔

ვერც ქართველმა, ვეღარც თურქმა,
მედიცინამ განიცადა კრახი...
მამა პეტრემ, პავლემ, დედა ანამ ნანამ,
სულიერმა სამყარომაც შეისრუტა მარცხი.

ვერც მშობლის ცრემლად დაღვრილმა ლოცვამ
და ვერც დაიკოს მხურვალე კოცნამ...
ვერც ოპტიმიზმით გაჯერებულ მეუღლის
ფიქრმა,
რომ თავის მეგზურს ისევ ისე ჩაიკრავს გულში,

სამი პატარა წარმოიდგინა
და რაღაც მწარედ ჩაეწვა სულში.
როგორ ჩახედოს უმანკოს თვალში
უფროს შვილს წამსვლელს მესამე კლასში?

მე მაინც მჯერა რო მივალ სახლში,
კარებს გამიღებს ჩემი და მარტო
ჩვეულ ღიმილით შემოსასვლელში
შემომანათებს მზრუნველი თაკო...
/ გიორგი ჩალაძე /

💔💔💔

რამდენჯერ უნდა დავეცეთ
რომ ისევ ფეხზე დავდგეთ,
ნეტავ სად უნდა წავიდეთ
წინ დარდი რომ არ დაგვხვდეს?

თქვენი ტკივილის ნუგეში
ნეტავ რა უნდა გახდეს
სიტყვებს ხომ ძალა არა აქვს
თავსაც ვერ ვუყრი სათქმელს

მზე უცებ როგორ დაბნელდა
ვეღარსად ვხედავთ ნათელს
ასეთ ბედნიერ ოჯახებს
ღმერთო რას ერჩი ასეთს?

ასეთ ანგელოზს ზეცაში
უკეთ დახვდები ალბათ,
მაგრამ მის მშობლებს და ოჯახს
ხომ სჭირდებოდათ აქაც?

ამდენი ცრემლი თან გაგყვა
ყველა დაგტირით თაკო
უფლის ნებაა ყოველი
თუმც ვერ გავიგე რატომ

ღმერთმა ნათელში ამყოფოს
შენი სპეტაკი სული
გააძლიეროს უფალმა
ჭირისუფალთა გული

/ მაია შავიშვილი /

💔💔💔

ფერადი დღეები გაშავდა
გაფრინდა ნანატრი ფიქრები,
მე მჯერა “იქ” მყოფი ყოველთვის
“აქ” შენს ოჯახთან იქნები…

ფერადი დღეები ჩაშავდა
დაიკლო მწვავე მზის სხივებმაც,
ჩვენს გვერდით შენ ფერი, შენს მსგავსი,
სხვა, ვეღარასდროს იქნება..

გაფრინდა ოცნება, მალული,
გუგუნი შეწყვიტეს მტრედებმაც,
რა უნდა იღონონ ამ შავ დღეს
უბედურ შვილმკვდარმა დედებმაც…

როგორ ვანუგეშოთ შენგან წასულს
ის ხალხი, ვინც შენით სულდგმულობს,
როგორ გადაიტან შენს არ ყოფნას
შენს სურათს რომ შესცქერის, უსულოს,….

ფერი იცვალაო, შენზე რომ თქვეს
ცაში გაფრინდაო, ანგელოზად,
ასე უდროოდ რომ მიგვატოვე
ღმერთი ჯერ კიდევაც არ გელოდა….

გარდაიცვალე, გაფრინდი,
და დაგვიტოვე ტკივილი,
ყოველთვის გვემახსოვრება
შენი მალული ღიმილი....

მინდა ღამეები ისევ გავათენო
შენი ამბების მოსაკითხად,
მინდა მამა პეტრეს კვლავ მივმართო
მისი წრფელი ლოცვის წასაკითხად...

მინდა დავიჯერო, რომ მალე
მოვა უკეთესი დღეები,
ისევ იყვავილებს ჩვენი გული
გაშავ-თეთრებული მზეები....

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/



💔💔💔

ვაი, შენს დედას შვილო,
მისთვის ნუგეში არ მაქვს,
თვით გაუმკლავდეს უნდა,
ამ ბედისწერას მძიმეს.

მან სად მონახოს ძალა,
ან სად იძიოს სიბრძნე,
როგორ იცხოვროს მითხარ,
შენ რომ მოგწონდეს ისე?

მამამ მიხედოს უნდა,
შენს დაობლებულ შვილებს,
ისე აღზარდოს, როგოც
შენ ჩანაფიქრი გქონდა.

ცხოვრება გაგრძელდება,
წესია წუთისოფლის,
მაგრამ ტკივილი გულში
არასდროს შენელდება.

გული სიმძიმეს ებრძვის,
ღმერთო, უშველე დედას,
მიეც ნუგეში მამას.
იმედას, გიოს, ნინის
გადააფარე კალთა.

ყველას გვიშველე ღმერთო,

ყველას გულს უნდა შველა,
ეს რა დაგვმართე, თაკო,
ნაცნობ-უცნობებს ერთად.
ერთად მოგვიკალ გული,
ჩვენც ჭირისუფლად ვდგავართ.

იმედს ჩავჭიდე ხელი,
მაგრამ, დამისხლტა ისევ
ალბათ, ადრეა მეთქი,
ცრემლს ითხოვს თაკო ალბათ....

/ ჟანა ჭითანავა /

💔💔💔

სიმწრით სავსე ცრემლები და
სიყვარულის ზღვარი,
მოღრუბლული სამყარო და
მოფერადო ცვარი...

არეულა ყველა გზა და
გაშავთეთრდა შარა,
ამოდენა დარდები და
მოლოდინი კმარა...

გაფრენილხარ, სადღაც შორს და
შეიცვალე არე,
მინდა ყველას დაანახო
შენი თბილი მხარე...

ოცნებებით აღსავსევ და
იმედებზე მდევნო,
მოიფინე ყვავილებით
მწოლიარე, მდელო...

აღასრულე პირობა რომ
გეყოლება ვაჟი,
სამუდამოდ დააბნელე
დილის გარიჟრაჟი....

ჩაუკალი დედას გული,
გაუყინე სული,
ლოცვაც კი ვერ გაიგონე
მის პირიდან თქმული...

სევდამ ისევ შემოისხა,
ოცნებების კონა,
გადმოკვეთე! როგორც იცი!
უხილავი ზონა....

სიმწრით სავსე ცრემლები და
სიყვარულის ზღვარი,
ყველგან ტკბილად მოაფრქვიე,
სურნელების კვალი....

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

💔💔💔

როგორ დავიჯერო უღმერთობა?
ეჰ, რაღა დავარქვა უბედობას?
ღმერთი და ბედი ერთად მგზავრობენ,
ო… განაჩენს, მკაცრად აღარ თმობენ…

რა დააშავა ამ ახალგაზრდამ?
მის დედას თვალი რად დაუბნელეთ?
თაკოს სამი შვილი ობლად დარჩა
ჩალაძეებს გულს ვეღარ გაუმთელებთ.

ვაჟკაცი მოევლინა სამყაროს,
ო… ტირილით უნდა დაიქანცოს,
ბავშვი ვერასდროს იხილავს დედას
ეჰ, ბედისწერავ, შენ რას არ ბედავ..!!

მშვიდობით თაკო, შენზე ვილოცებთ,
უცხო მიწაზე დალიე სული,
შენ კი მარადჟამს იცოცხლებ ჩვენში
მთელს საქართველოს ატკინე გული.

/ მანანა ჯანაშია /

💔💔💔

არ მაქვს უფლება ვიგლოვო
იმ სიყვარულის ფასად,
დედის ცრემლბს რომ ვუყურებ
და რომ მტოვებენ სახტად…

არ მაქვს უფლება ვნატრობდე
ჩვენ განშორების თვეებს,
დედა რომელიც სულ ითვლის
შენთან მოსასვლელ დღეებს…

არ მაქვს უფლება ცრემლისღვრის
როცა შენი ძმა ერთობ,
დაიარება მიწაზე
მას უშენობა ერგო…

არ მაქვს უფლება ტკივილი
გულთან მოვუშვა ახლოს,
მინდა რომ შენმა დედიკომ
კიდევ ცოტა ხნით გაძლოს…

არ მაქვს უფლება ტკივილმა
მე უსაშველოდ დამღალოს,
ჩვენმა ტანჯულმა ლალიმ კი
ეს სევდა გულით ატაროს…

არ მაქვს უფლება სიტყვებით
რომ უშენობა ვიმართლო,
არ მაქვს უფლება ყოველ დღე
შენი აქ ყოფნა ვინატრო…
/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

💔💔💔

სიცოცხლე ეკალბარდებში იხლართებოდა
წუთი, წამები, ილეოდა ვერვინ ხვდებოდა
სული კვნესოდა, ვერვინ შველოდა,
მოლოდინიც აღარ იყო, იქვე ქრებოდა.

ვერაფერი ველარ შველოდა
ფიქრებშიც უკვე იღუპებოდა
მისთვის მზე და წყალი უკვე შრებოდა
ვერას ამბობდა, მასში კვდებოდა.

ვაი რომ მარტო ის არ არის ფიქრებს რომ სჭამდა,
მაგრამ იმედი არ ილეოდა
ფიქრებში იმედი არა კვდებოდა
ფიქრებში ღმერთი არ გაწირავდა

ამ დროს მას არაფერი აღარ შველიდა
სად წავიდა რა იქნა რატომ გაქრა
ნუთუ წყლის წვეთებივით
მდინარეს გაქყვა.

/რომეო ჩუთლაშვილი/

💔💔💔

ბევრი შეკვეთილი ლოცვები და
ტაძრად ანთებული სანთლები,
ტუჩზე წარმოთქმული სიტყვები:
თაკო, შენ გქონოდეს ნათელი…

ბევრი ვედრება და ოცნებები
ბევრი ცრემლების ღვრა უმოწყალო,
ზეცად აფრენილო ანგელოზო
დილით მოგალობე ტოროლაო…

ღმერთთან მჯდომიარე, სანატრელო,
ყველას უმოწყალო დარდი ხარო,
ვიცი, გადმოგვყურებ, შემოგვცქერი,
ჩვენი ოჯახების ხატი ხარო…

სანთლად მოელვარე სიმშვიდევ და
ცრემლად დატანილო სათნოებავ,
მიწად მოფენილო მზის სხივო და
ზეცად მოფანტულო საოცრებავ…

.

ბევრი შეკვეთილი ლოცვები და
ტაძრად მოელვარე სანთლები,
ღმერთმა აგიტაცა თავისთან რომ
იქ შენ დაგდგომოდა ნათელი….

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

💔💔💔

განა დღეები არ იყო ყავის?
ტკივილი, ტკივილი, კივილი ლამის.
ცრემლები, ცრემლები,
ცრემლები ღამის...

განა დღეები არ იყო ყავის?
პირიქით, მხოლოდ დღეები ყავის. .
როდესაც არაფერს არააქვს აზრი. .
მუნჯდები, სიცოცხლე გალიე ლამის...

ვერაფერს ვერ გრძნობ
საკუთარ თავის...
განა დღეები არ იყო ყავის?
რატომღაც თაკოს ჭიქად მივიჩნევ...
ვარდისფერია-ალბათ იმიტომ

/არიადნა ბაჯაძე/

💔💔💔

(ბიძაშვილისგან)
ენკენის თვეში
ჭრელა-ჭრელა
ფოთოლ ცვიოდა,
ცაზე ცისფერი
ყავისფერში გადადიოდა.

სადღაც სიცოცხლე
მოდიოდა,
ქვეყნად ახალი;
ღმერთი ჯვარს სწერდა,
ანგელოზნი ლოცავდნენ მარად;

სადღაც სიცოცხლე ანგელოზის
ღმერთებს მიჰქონდათ,
ჩვენი თამუნა
ანგელოზებს ცაში აჰყავდათ;

ფოთოლ ცვიოდა,
ქარი ქროდა;
წმინდანთ ცრემლი,
დაბლა ცვიოდა;
ვერაფერს გახდა
დედის ლოცვა,
ღვთისთვის ვედრება;

მაინც წავიდა ანგელოზი,
აფრინდა ცაში;
და სამოთხეში მოიპოვა,
მარადი სახლი.
/ნინო ჩალაძე/

💔💔💔

თაკო ღმერთმა აიტაცა,
დედოფლობა იქ შვენისო.
მისი სული იქ ნავარდობს,
ნეტავ ყველას ეგ გვეღირსოს...

მართალია აქ ტკივილი
უსაზღვროა ამ წესისო...
დარდით მიწაც შეზანზარდა,
ყველას გული რომ კვნესისო..

თაკო ქმარშვილს დაჰფარფატებს,
სულ აქ არის მათ გვერდითო...
თანაც მშობლებს ეხვეწება,
არ იტიროთ, ხომ გესმითო?..

მე ვიყიდე თქვენთვის ბინა,
ოქროს ჭაღით, თან ვერცხლისო...
ღვთისმშობელი ქსოვას იწყებს,
ზომას იღებს თქვენ ფრთებისოს...

არაფერზე არ იდარდოთ,
ღირსნი გახდით აქ ფრენისო...
თქვენს თვალზე რომ ცრემლებს ვხედავ,
მერიდება "აქ-მწყემსისო"...

ჩემებრ თქვენაც გაიღიმეთ,
ცრემლზე მეტად ეგ გშვენითო...
მესმის თქვენი ყველას ოხვრა,
გმინვა მამის და დედისო...

შვილებს ცრემლს ნუ დაანახებთ,
ჯვარი ტკბილად რომ ეზიდოთ. 😭❤️

/ლია ვახტანგიშვილი/

💔💔💔

15 დღიანი მოლოდინის შემდეგ
დაგვიდგა 12 სექტემბერი,
დღე მშვენიერი
თითქმის ყველა ბედნიერი,

ამის მიზეზი ექიმის პასუხია სანატრელი,
კარგად იქნებაო ყველაფერი!

ჩამოჰკრა 24 საათმა და კარზე
მოგვადგა 13 სექტემბერი,
ღამე მდრტვინავი და საზარელი,
ვერ დასაწერი ენით აუღწერი...

დარეკა ტელეფონმა გვერდით ოთახში,
სიკვდილის ზარმა გახვეულმა იმედის ტყავში,
გაისმა აღელვება ვაჟკაცის ხმაში
"რა ხდება ძმაო" წამოვხტით წამში,

"გული გაუჩერდა ისევ მოაბრუნეს"
ხვნეშით გავვარდით ჩავეგდეთ ტაქსში!

ულევი ცრემლით იქ დამხვდა დედა,
ჩემი დაიკოც ტირილს არ წყვეტდა,
ნეტავი თაკოს ვისაც ველოდით,
ერთად გვეტირა რა იქნებოდა.

თუმცა იმედი ჯერ არ კვდებოდა,
გუშაგი მოსჩანს, რაღაც წყდებოდა,
დრო დაწყევლილი არ გადიოდა
სიცოცხლის ნაპერწკალი მაინც ღვიოდა.

ჰოსტეპე მედიქალ პარკის რეანიმაციის კარი,
გაიაღო ხისტად,
თავჩაქინდრული ექიმები
მოდიან ზანტად,
სწრაფად დაეშვა ფიქრები სახტად,
ხო არ ღადაობთ? კინოში არ ვარ!
სცენარის სიტყვები არ მითხრათ არაა…….!
……
და დედის სახე, ვით მყინვარმწვერი
გადაიყინა მარად და მარად….

/გიორგი ჩალაძე/

💔💔💔

ჩემს ბიჭებს მაინც ორნი ყავთ,
მამიდა—გულის ვარდად,
ერთი მიწაზე მფარველობს

მეორე ზეცად, ხატად…

ჩემს ბიჭებს ისევ ორნი ყავთ,
„მამიდა” - სიტყვა საუნჯე,
ორნი იყვნენ და ორნი ყავთ,
მინდა ეს სიხლში გაუჯდეთ…

ჩემს ბიჭებს ისევ ორი ყავთ,
ცალად ვერ ვითვლი-კენტად,
ერთი მზედ მოევლინება,
თუ საჭიროა-სეტყვად…

ორნი უმაგრებს სამყაროს,
ვერაგ ავ-ბედით ჭიდილს,
ერთი ზეციდან აღვივებს,
ცხოვრების დღიურ ფითილს…

სულ იქნებიან იმედად,
სიყვარული აქვთ საერთო,
მათთან იქნება ორივე,
გინდ იტირონ, გინდ გაერთონ…

ჩემს ბიჭებს ისევ ორნი ყავთ,
მამიდა სიტყვად ქებული,
მათ სიყვარულზე ლექსებად,
უნდა შეიქმნას კრებული…

ორი მამიდა ასწავლის,
კვლავაც შავ-თეთრის გარჩევას,
ერთი მიწაზე უწონებს,
მეორე ზეცად-არჩევანს….

ჩემს ბიჭებს კვლავაც ორნი ყავთ,
ნუ დაუკარგავთ იმედს,
ისეთ ბიჭებად გავზრდი რომ,
მამიდა…ამად ღირდეს…
/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/
(ყველა სირთულის და მიუხედავად, ყველაზე ბედნიერი ოჯახი ვიყავით)

💔💔💔

სულ მალე შეწყდება ფოთოლცვენა,
ყველა ჩვენ-ჩვენს გზას ვნახავთ,
რაღა ეშველება იმ მომავალს
დღეებს,რომელშიც ვერ გნახავთ…..

სულ მალე შემოიფენს მიწა საბანს
თეთრად აყვავდება ბუნება,
ნეტა?!რით ვუშველო შენი ძმის დარდს
თრობით რომ ისწორებს გუნებას….

მალე დაზამთრდება, არემარე
თეთრად დაიფარებს საბანს,
რაღა ეშველება იმ შავ მიწას?!
თოვლი გაგითეთრებს საფლავს….

ყველა გააგრძელებს ჩვეულ რიტმში,
ცხოვრების უკუღმართ წადილს,
შენ კი ვეღარასდროს გააგონებ
დედას!!!უმოწყალო ძახილს…

სულ რომ გადაივლის ფოთოლცვენა
მთები რომ აიტანს გრიგალს,
აღარ ეშველება დედის გულს და
თვალებს, დღე და ღამე მტირალს…

სულ მალე შეწყდება ფოთოლცვენა
ყველა ჩვენ-ჩვენს გზაზე წავალთ,
ერთი იმედი მაქვს შენთან მოსვლამდე
რომ, ჩვენ აქ ამ ჯოჯოხეთს გავალთ….

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

1993
30

💔💔💔

როგორ უცებ
ჩაგვივლიან წლები;
დღეს ორმოცჯერ
გაფერმკრთალდა ზეცა!
შენს სხეულზე მიწა
კი არ ნავარდობს,
სამუდამოდ გაემგზავრე
ზეცად...

ზღვა ცრემლებიც
ვერ გვიპოვის შენს თავს,
რას ვადაროთ
ეს მწუხარე ტკივილი???
ერთის მჯერა,
ზეცად კარგად იქნები;
დაგველოდე...
და ჩვენც მოვალთ
შენთან....

/გიორგი ჯემალ მაკარაძე/.

💔💔💔

40 ჩამქრალი მზე და
შენ დედამიწას ათბობ,
შორიდან შემოგვცქერი და
სულ აღარაფერს ამბობ.

კარებთან შემოგვაგებე,
სურათი, შენი ნახატით,
40 ჯერ მიწამ წაიღოს
ეს არის დედის ნანატრი….

თვალებს სინათლე ჩაუქრე,
გული დატოვე დამფრთხალი,
შენთვის კანდელი ანთია
მაგრამ, სხივია ჩამქრალი…

/ლელა მაკარაძე- ჩალაძე/

💔თამუნა ჩალაძის მშობლებს💔

არ გეგონათ და მიენდეთ
თქვენ მიენდეთ წმინდა გულით,
რას გერჩოდათ რა უნდოდა
რად გათელა თქვეში სული

უიმისოდ მოწყენილი
მომტირალი სევდის ფერი,
ეს ცხოვრება ისე მიდის
სინანული აღარ შველის.

ფიქრებისგან დაიღალეთ
იცრიცება ტანჯვით გული,
არვის ესმის განწირული
უთქმელი თუ ბაგით თქმული.

ქარიშხალს ჰგავს მომავალი
წლებით არის ძალზედ რთული,
დაღლილია თქვენში სული
და ფიქრებში კვდება გული.

დრო ჭირდება ამ ყველაფერს
დრო კი თითქოს მკურნალია,
თქვენს პატარებს სითბო უნდათ
ამას თქვენგან მოელიან.

/რომეო ჩუთლაშვილი/

01

💔💔💔

გრანდიოზულად ვგეგმავდით
რაჭაში ჩვენ თქვენს შეყრას,
დიდი სუფრების გაშლას და
რაჭული პურის შეჭმას…

გრანდიოზულად გვინდოდა
თქვენი შეხვედრა ჩვენთან,
ყანწებითა და ფიალით
ცოლიკაური გესვათ….

გრანდიოზულად შეგვყარე
ითავე ჩემი წადილი,
რაჭული პურის მაგივრად
გელაგა სუფრად წანდილი…

რაჭულ ბაღჩაში მინდოდა
რაჭული სუფრის გაშლა,
ყველა ფიქრი და ოცება
ასე უკვალოდ გაქრა…

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

ჩემს მეგობრებს

ჩემს მეგობრებს
დაუმძიმდათ გული...
ნათელში ყავს უფალს
თაკოს სული.

რა ძნელია გამონახო
სიტყვა.
ღმერთო ჩვენო,
ანუგეშო მინდა.

/არიადნა ბაჯაძე/
აფხაზეთი
გუდაუთიდან ГӘДОУҬАНТӘИ 💕

💔💔💔

ყველა შვილი ხომ შვილია
ყველა თავისებრ გიყვარს,
ვერ წარმოვიდგენ რა ხდება?
ღმერთს როცა მასთან მიჰყავს …

ყველა შვილი ხომ შვილია
მაგრამ დედაა ერთი,
შავებ ჩაცმული რომ ელის
შვილთან წაიყვანს ღმერთი….

ყველა შვილი ხომ შვილია
მაგრამ ისაა ტკბილი,
ვისაც ძალიან უჭირს და
გაყინული აქვს სისხლი…

ყველა შვილისთვის ვლოცულობთ
ზოგი ჩუმად და გულით,
უფალს ვავედრებთ სიცოცხლეს
როცა ვატარებთ მუცლით…

ყველა დედა რომ დედაა
და ურწევია აკვანი,
შვილის გამოცლის შემდგომ კი
ის!!! როგორ გახდეს ამტანი!?!?

როგორ გაუძლოს თუნდ ერთის
ბევრიდან, ერთის დაკარგვას?!
როგორ მიუხვდეს ტანჯულმა
იმ წუთს, თვით უფლის განზრახვას….

უფალო შენ დაიფარე,
დედა რომელიც გლოვობს,
მიწას აბარა შვილი და
დღეს, ცოცხალ-მკვდარიც ცოცხლობს….

უფალო გული უმაგრე,
დედას რომელიც ტირის,
ძალა მიხდილი საფლავთან
მის წასვლის დღეებს ითვლის….

ყველა შვილი ხომ შვილია
ყველა თავისებრ გიყვარს,
გთხოვ დაიფარე დედიკო
დღეს რომ ნატრულობს სიზმარს….

ყველა შვილი კი შვილია
ყველას სიცოცხლე გინდა,
დედას სულ ყველა ცოცხალი
უნდა, ვისაც რომ ზრდიდა….

ყველა შვილი ხომ შვილია
ყველა თავისებრ გიყვარს,
ვერ წარმოვიდგენ რა ხდება?
ღმერთს როცა მასთან მიჰყავს …

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

მთელი გულით მინდოდა ასე
ყოფილიყავით…. უკლებლივ…ყველა….

თაკო! გვენატრები!

....

მოვალთ შენს საფლავთან
ჩუმად, მორიდებით;
ჩიტების ჭიკჭიკსაც
სიზმრებს მოვუყვებით,

როგორ გვენატრები;
როგორ გვენატრები....
როგორ ვეღარა ვძლებთ;
შენი უშენობით ყოველდღე დაღლილები,

არ მინდა კვლავ დავწერო
ლექსი სამწუხარო,
როგორ არ ვიმწუხრო,
რადგან გვედარდები;

თაიგულს დავკრებთ და
მაშინაც გვეფიქრები,
ია- ვარდს ვხედავთ და
უსაზღვროდ გვენატრები,

მიწას ვეხებით და
დარდებით გეფერებით,
ზეცას ავხედავთ და
ცხადშიც გვეჩვენები...
როგორ არ ვიდარდოთ?
როგორ გვენატრები....
/გიორგი ჯემალ მაკარაძე/

ლალიკოს

მინდა იარო ამ ქვეყად
დარჩენილების ხათრით,
მინდა რომ ბევრჯელ დაატკბო
შვილიშვილები ნამცხვრით….

მინდა რომ იყო ამ ქვეყნად
ბებო, მიყვარხარ!! გსდიოთ,
უბრალოდ ჩვენთან იყო და
როგორა ხარ?! ნუ გკითხოთ….

მინდა რომ ყელზე გეფეროს
დათუჩის თბილმა თითებმა,
მინდა რომ გაგიხანგრძლივოს
სიცოცხლე, ლუკას იმედმა….

უბრალოდ მინდა ცოცხლობდე,
ჩვენი გულების ხათრით,
შენ თაკოს წარმოდგენით და…
მის გაელვების კადრით….

როგორ გიყვარდათ სიცოცხლე,
როგორ ტკბებოდით ერთად,
რომ ხალისობდით მუდამ და
და, რომ გიყვარდა მეტად….

მინდა, ძალიან მინდა რომ,
გულზე მოგედოთ წამლად,
ეს ნაცრისფერი დღეები
გაგიფერადოთ, მკრთალად…

მინდა ტანჯული თუნდ გერქვას,
შვილიშვილების ხათრით,
ცოტა იმედი მოგეცეს
ამათი გაზრდის ნატვრით....

მინდა იარო ამ ქვეყად
დარჩენილების ხათრით,
მინდა რომ ბევრჯელ დაატკბო
შვილიშვილები ნამცხვრით...

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

“ვიცი რომ სიცოცხლის რაღაც ნაწილს ებღაუჭები და, ვეცდებით ეს ნაწილი როგორმე ისევ ჩვენმა შვილებმა მცირედით შეგიმსუბუქონ...”😔

მის დაღუპვას დაატარებ, როგორც ბორკილი
ვერვინ გათბობს, ხარ შებოჭილი,
თავს გრძნობ მიტოვებულს ტყეთა ჯუნგლებში
ჩაწოლილი ხარ გესლის გუბეში.

უფალმა შეგინდოს კითხვები უპასუხო,
გგონია, რომ ვერაფერს მოასწრებ,
სევდამ დაგინგრია გულის სანაპირო
თითქოს გვიანია, რომ რამე დააპირო.

გგონია, რომ უკვე შორს დარჩა ყველა გაზაფხული,
რომ მხოლოდ ზამთრის სიცივე გიცდის,
ცხოვრებამ გადაგაგდო, როგორც ჩიტი ბუდიდან
უპასუხო კითხვები არ ცილდება შენი თავიდან.

გინდა განერიდო ყველას
დაღლილი სული კედლებზე კვნესის,
შენ იმ პატარა ლამაზ გოგონას
ვერასოდეს ვერვინ შეცვლის

ზღაპარია თუ ნამდვილი ან მოლანდება ითქმის
პატარები ხომ გელოდებიან შენი მოფერების ღირსი,
ასეა ეს ცხოვრება, ბევრი სწუხს ბევრი ხარობს
სიკვდილი თავის მოკვლად არ ღირს, ცხოვრება ისედაც
ჩქარობს.....

/ რომეო ჩუთლაშვილი/

“წუხელ თაკო დამესიზმრა”

წუხელ თაკო დამესიზმრა,
გაბადრული სახით,
თითქოს არც კი შევმკრთალიყავ
ძილში, მისი ნახვით…

დამესიზმრა სიხარულით
შეგვცქეროდა ყველას,
მარტო მე რად დაგინახე?
გამიკვრდა მეტად….

მოინდომა მოფერება,
ჩახუტება ჩვენი,
გიოს ისე ეამბორა,
მოადინა ცრემლი…

გამიკვირდა, ნუთუ ვერ გრძნობთ?
მოფერებას მისსას,
თქვენ კი უფრო მეტს ითხოვდით,
ყველა სიტყვის თქმისას….

მიმანიშნა, ლოყას ვწვდი და,
გაყინული იყო,
მერე გვერდით გავიდა და
ტანთ გამოცვლა იწყო….

შეიმოსა თეეეთრი კაბით,
ცისფერ ფერთა ფონით,
მიკვირდა რომ ვერ ხედავდნენ
და ვერც გრძნობდნენ გონით…
ბედნიერმა მიიხურა
თეთრი სახლის კარი,
ყველა უკან მოგვიტოვა
მაგიდასთან მდგარი….

ისე ტკბილად დამესიზმრა,
ბედნიერი სახით,
უფალს ბევრჯელ ვუმადლობებ
უნახავის—-ნახვით……

/ლელა მაკარაძე-ჩალეაძე/

💔💔💔

გული მეტკინა როცა ის ვნახე
მის სასახლესთან სანთელს ანთებდა
არა სჯეროდა გარდაცვალების
აკვირდებოდა და შესცქეროდა

თვალზედ მომდგარი ცრემლის წვეთებით
ის ჩურჩულებდა ნუთუ ის არის
რისთვის წავიდა, რისთვის დაგვტოვა
რად დაგვიტოვა გულში ისარი
რა დარჩენია მას ფიქრის გარდა
მისი ფიქრია სევდა ნაღველი
თან ფიქრობს ალბათ ამ ცხოვრებაში

წყვდიადშიც არის წმინდა სანთელი
თაკოს ნატრვრაში ამოსდის სული
უსველებს წარბებს წამწამებს
არ იცის რა დააშავა
ასე მწარედ რად დასაჯეს
ბნელშიც ხედავს და ვერ ხედავს
აჩრდილი არა შორდება
უნდა გაიქცეს მაგრამ სად
ფიქრები მას უორდება
ეს ცხოვრებაა ასეთი
ნაღველი უნდა დამალოს
რომ პატარებმა ისწავლონ
მისგან სითბო და ალერსი
თუმცა დღეები ილევა
როგორც ხატის წინ სანთელი

/რომეო ჩუთლაშვილი/

mitarb
JVC

💔💔💔

სიკვდილმა იწყო მატება
წლებმა კი იწყეს კლება,
დედის ფაქიზი ხელები
შვილს რომ აცილებს—— ჭკნება…
ასე ჩამოჭკნა ერთ დროსაც

განაზებული კანი,
სულ ჩამოადნა ერთ დროს რომ
ამაყად ედგა ტანი…
ფერი წაერთვა სახეზე

დღეც დაუღამდა მარად,
ყველა წასული დღეები
ასე,იქცია ზღაპრად….
შვილი გაუხდა ხატება

საფლავი ექცა სახლად,
ერთ დროს ხალისად მავალი
ცრემლებად დადის— ნაცვლად….
სიკვდილმა იწყო მატება

წლებმა კი იწყეს კლება,
დედის ფაქიზი ხელები
შვილს რომ აცილებს—— ჭკნება…

/ ლელა მაკარაძე-ჩალაძე /

30

💔💔💔

როგორ დაგვიბერდით უცებ
დარდმა გაგითეთრათ თმები,
ვიცი ვეღარაფერს შევცვლით
წამში გემატებათ წლები...
როგორ გაგეგლიჯათ გული
წლებმა მოიტოვა ლხენა,
რაც კი მოლოდინი გქონდათ
თაკომ გაიყოლა ყველა...
როგორ დაგვიბერდით უცებ
კანი შემოგაჭკნათ თითქოს,
გინდათ მალე იყოთ მასთან
თუმც,სიკვდილი ჯერ არ გიხმობთ....
ბევრი დაგიტოვათ საქმე
თქვენვე მოგაბარათ თითქოს,
მისი გასაზრდელი შვილნი
თაკოს ალერსაც რომ ითხოვს ...
იმ იმედით ხარობს გული
თქვენ ხართ საიმედო ერთობ,
თაკოს დანატოვარს უზრდით
ძალა მოგემატოთ ღმერთო...
როგორ შემოგაჭკნათ უცებ
ერთ დროს სანატრელი სახე,
მინდა დავაბრუნო უკან
დრო, რომ ბედნიერი გნახეთ...

/ლელა მაკარაძე-ჩალაძე/

SINCE 1884
SARAJISHV
Trilog

LOVE

CLINIC of DAVID GAGUA
IN VITRO
IVF & HUMAN REPRODUCTIVE HEALTH

GUESS



VIENNA